



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აკოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამადიზაინის ფაკულტეტი

მხატვრული მინა

Art Glass

პროგრამის ხელმძღვანელი :

თამარ გრიგოლია - პროფესორი

მხატვრული მინის მიმართულების ხელმძღვანელი

დამტკიცებულია

თსსა დიზაინის საბჭოს მიერ

2023 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი №

5თსსა აკადემიური საბჭოს მიერ

2023 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი №23

პროგრამის სახელწოდება : 0214.1.1 მხატვრული მინა/ Art Glass

ფართო სფერო (მიმართულება) : 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა) : 021 ხელოვნება Arts

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია) : 0214 გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა) Handicrafts

განათლების საფეხური : უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/ მაგისტრატურა (7)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია : ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ მინაში / Master of Fine Arts in Glass Arts

მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა : მაგისტრატურის სრული კურსის წარმატებით გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად მაგისტრმა უნდა დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება სპეც.კომპოზიციის და უცხო ენის (II დონე) გამოცდით. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით www.art.edu.ge <https://www.facebook.com/profile.php?id=100040197442273> მოქმედებს ცხელი ხაზი.

სწავლების ენა - ქართული

სწავლის ხანგრძლივობა : 2 წელი (4 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა - 120 კრედიტი (ECTS), მათ შორის :

- * სპეციალობის დისციპლინები - 80 კრედიტი
- * ვიზუალური ხელოვნების დისციპლინების ციკლი - 10 კრედიტი
- * საუნივერსიტეტო დისციპლინები - 12
- * არჩევითი დისციპლინები - 13 კრედიტი
- * ციფრული ტექნოლოგიების დისციპლინების ციკლი - 10 კრედიტი

1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.

ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი, კრედიტის მოცულობა - 60 (ECTS)

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, აქედან, სააუდიტორიო მეცადინეობები - 15 სასწავლოკვირა (16,17,18 კვირა)

1 სემესტრის განმავლობაში - ერთი შუალედურის გამოცდა.

სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილა - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა

პროგრამის აღწერა

დისციპლინის სფერო წარმოადგენს უძველეს დარგს. მასალის უნივერსალურობის გამო მხატვრული მინა, როგორც დარგი დღესაც ინარჩუნებს ერთ-ერთ წამყვან ადგილს თანამედროვე დეკორატიულ, გამოყენებით სფეროში. ამ დარგის სწორედ განვითარება სახავს დიდ პერსპექტივებს ქართულ თანამედროვე არქიტექტურაში, ექსტერიერში და ინტერიერში. სწორედ ეს განაპირობებს ამ პროფესიის მქონე სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნას. მინა, როგორც მასალა ცალკე ერთეულად არ მოიაზრება, არის საკმაოდ რთული ტექნოლოგიური პროცესი. სამაგისტრო პროგრამა შეიცავს მეორე საფეხურზე აღმავალ პროფესიონალურ კომპეტენციებს. პროგრამის ხერხემალი ეფუძვნება I საფეხურზე (საბაკალავრო) მიღებული განათლების გაღრმავებას. დასახული კრეატიული დიზაინერული თუ კვლევითი ამოცანის ორგანულ გადაჭრა-განხორციელებას. პროგრამა შედგენილია თემატური იდეის, მასალაში შესრულების, რთულიაზროვნებისა და ახალი ტექნოლოგიებისა და თუ დაკარგული ტექნოლოგიების აღმოჩენის ბაზაზე. მსოფლიო მხატვრული მინის, როგორც დარგის, გამოცდილების და განვითარების გათვალისწინებით შექმნილი უნარ-ჩვევები იძლევა იმ ცოდნას რომელიც ადეკვატურია მსოფლიოს სხვა და სხვა უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამების, მხოლოდ შეჯერებულია უშუალოდ ქართული მხატვრული მინის, როგორც დარგის გამოცდილებით. პროგრამა აღრმავებს მინის ხელოვნებაში ძირითად მასალებთან მუშაობის კომპეტენციებს, მათ სინთეზს სხვა და სხვა დამხმარე მასალებთან (ლითონი, შამოტი, ხე, თაბაშირი) მინის მოხატვის ურთულეს ტექნიკას, მოღირებას, ფურცლოვანი მინით კლასიკური ვიტრაჟის აწყობას, ფერადი პლასტიკის ფიუზინგის ტექნიკას და კვლევას. ეს ტექნოლოგია-ტექნიკები ხორციელდება ახალი თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით, დაგროვილი თეორიული ცოდნის მობილიზაციისა და პრაქტიკულად მისი განხორციელების საფუძველზე, შემდეგ კი ამ კომპეტენციების სინთეზით დისციპლინა მოითხოვს ესთეტიკურ, კრეატიულ მონუმენტურ აზროვნებას და ვიზუალური ფორმების ფუნქციონალურ დანიშნულებას ინტერიერსა და ექსტერიერში. (მაგალითად დეკორატიული განათების სისტემები, თანამედროვე ვიტრაჟები, სივრცობრივი პლასტიკის ობიექტები). პროგრამა ორიენტირებულია ამ დარგის პროფესიონალურ (სპეციალისტების) აღზრდაზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ათვისებული თანამედროვე ტექნოლოგიების და უძველესი ტექნოლოგიების გამოყენების სინთეზით და პრაქტიკული ცოდნით შეძლებენ მხატვრული მინის სფეროში წარმატებულ საქმიანობას. ასევე, პროგრამა მოიცავს როგორც ვიზუალური ხელოვნების II საფეხურის სამაგისტრო კურსს: ხატვა, ფერწერა, ქანდაკება, აგრეთვე ხელოვნების ისტორიას, ციფრულ ტექნოლოგიებს და ზოგად არჩევით საგნებს. იგი ორიენტირებულია თანამედროვე ქართული მხატვრული მინის დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტების აღზრდაზე, რომლებიც მომავალში თავად ასწავლიან ამ დისციპლინებს, როგორც უმაღლეს ისევე ზოგადსაანამათლებლო დაწესებულებებში. ამრიგად, პროგრამა შემუშავებულია სახელწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესისათვის და არის სტუდენტთა პროფესიული და შემოქმედებითი აზროვნების გაღრმავებასთან და სრულყოფასთან განუყოფელ კავშირში.

პროგრამის მიზანი

- პროგრამის მიზანია ჩამოაყალიბოს მინის ხელოვნებაში ძირითად მასალებთან მუშაობის კომპეტენციები, მათი სინთეზი და სხვა დასხვა დამხმარე მასალებთან (ლითონი, შამოტი, ხე, თაბაშირი) ურთიერთდამოკიდებულება.
- განვითარდეს სივრცობრივი აზროვნება, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების, დაგეგმვის და ამ ტექნოლოგიების გონივრული გამოყენებით.
- პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკონკურენტუნარიანობას და ზრდის მისი დასაქმების სპექტრს თანამედროვე დიზაინის სფეროში.
- ახალი მსოფლიო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართული მინის სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდეს ინტეგრაცია

მსოფლიომხატვრული მინის განვითარების ნიშაში.

- პროგრამა უზრუნველყოფს პედაგოგიური მოღვაწეობის კომპეტენციას. აუცილებელია პროგრამა ითვალისწინებდეს აკადემიაში სტუდენტებთან მუშაობის პერიოდში მათში მომავალი კოლეგების ხედვას, მათი აზრის მიღების, გაფრთხილებისა და გათვალისწინების ხარჯზე მათივე პიროვნული ამბიციების გამოყენების და სწორად წარმართვის ინდივიდუალური ნიჭის გაღრმავებას. სწორედ ამ პრინციპით წარმართული სწავლების მეთოდი იძლევა შედეგს, რასაც ჰქვია პროფესიონალიზმი.
- პროგრამის ძირითადი ამოცანაა დამოუკიდებელი რთული, კრეატიულ-კონცეპტუალური ამოცანის გადაწყვეტა და მისი სათანადო პრეზენტაცია, როგორც ტრადიციული მეთოდებით, ასევე თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის უცხო ენაზე
- პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნისა და კომპეტენციების დამოუკიდებლად გადაცემა საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
- სერიოზულად გააზრებული და გათავისებული არჩეული პროფესიის კრეატიულობა, აქტუალობა და პერსპექტიულობა, რადგანაც დღევანდელი გაზრდილი სამრეწველო და მშენებლობის მაღალი ტემპი ქართული თანამედროვე არქიტექტურაში, ექსტერიერში თუ ინტერიერში ითვალისწინებს ამ პროფესიის მქონე სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნას.

სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია გამოყენებითი ხელოვნების / (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან. უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები ბრძანება MES 5 22 0000897354 12.08.2022) ოქმი გამოყენებითი ხელოვნების/ (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ)

შედეგის ძირითადი ორიენტერი - მოდერნიზებული საგანმანათლებლო სასწავლო სივრცის ორგანიზება, მათ შორის :

- ძირითადი პროფესიონალურ უნარ - ჩვევებისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების პარალელურად, შესწავლა : ახალი პროდუქციის გამოშვების დაგეგმარებისა და რეალიზების ინსტრუმენტების, ჰუმანიტარულ დისციპლინების ერთობლიობითა და ციფრული პროგრამების გამოყენებით პროდუქტის რეკლამირება/რეალიზება ;
- სტუდენტის მიერ კვლევისა და შემოქმედებითი ინტუიციის საფუძელზე, სუბიექტური გამოცდილებით პროდუქტის შექმნა ;
- მხატვრული მინის მასალების შერჩევა/დამუშავების, კონსტრუირება/მოდელირებისა და სხვადასხვა ტექნიკებით/ტექნოლოგიებით მიღებული დასრულებული შემოქმედებითი ნიმუშები;
- სასწავლო პროცესში ჩართვა - ადგილობრივი და საერთაშორისო შემოქმედებითი წამყვანი სპეციალისტების
- სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვნად გაძლიერებულია თეორიული-სამეცნიერო მომზადება, საწარმოო პრაქტიკის პროცესში კონკრეტული პროექტების შემუშავება

სწავლის შედეგები

- **ცოდნა / გაცნობიერება**

1. ახდენს გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპების და ამ პრინციპების მხატვრული მინის სფეროში გამოყენებას. არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერებას.
2. იცის ინტეგრირების, დამოუკიდებლად თავის გართმევა სირთულეების და მინის მასალების და სხვა და სხვა სინთეზური მასალების გამოყენებით (ლითონი, შამოტი, ხე, თაბაშირი) მოახდინოს იდეების რეალიზაცია.
3. იაზრებს კრეატიულ, პრაქტიკულ და კვლევითი სწავლის ისეთ ცოდნებს, რომელიც თვითგანმსაზღვრელი ან დამოუკიდებელი სწავლისა და შემოქმედების გაგრძელების საშუალებას იძლევა.
4. გაცნობიერებული აქვს საკაცობრიო სპექტრში ეროვნული და თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების ესთეტიკის პრინციპების გათვალისწინება და ინტეგრაცია. მინის, როგორც დარგის უშუალოდ დამახასიათებელი სპეციფიური ღირებულებები.

- **უნარი**

5. აქვს უნარი გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპების მხატვრული მინის სფეროში გამოყენების, მხატვრული მინის ფუნქციონალური დანიშნულების განსაზღვრა. ანახლებს მიღებული ცოდნის ტრანსფორმირების საფუძველზე შემოქმედებითად აზროვნებას.
6. აყალიბებს გამოყენებითი ნამუშევრის კრიტიკულ გარჩევას, ესთეტიკურ შეფასებას და ამ შეფასების დასაბუთებას. ითვალისწინებს თემის, იდეების, მოვლენების მხატვრულ ფორმაში განხორციელებისას მიზეზშედეგობრივი ანალიტიკურაზროვნების შედეგს.
7. ანახლებს თანამედროვე ქართული გამოყენებითი ხელოვნების ესთეტიკური და კულტურული თავისებურებების გაცნობიერების მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების კონტექსტში.
8. თეორიულ-პრაქტიკული კვლევითი ცოდნისა და კრეატიული უნარების გამოყენება ახალ ან უცნობ გარემოში თავიანთი დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (ინეტერდისციპლინარულ) კონტექსტში.

- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

9. ითვალისწინებს მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებში და სიმპოზიუმებში თავისი დარგის პოპულიზაციისათვის. აქვს საჯარო პრეზენტაციების მოწყობის უნარი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით (ვიდეო, ფოტო, კინო მასალა) მათ შორის უცხო ენაზე.
10. პროფესიული ეთიკის ჩარჩოებში, საკუთარი მხატვრული ხედვის, შემოქმედებითი პოზიციის პროფესიულ გარემოში გარკვეულად, გასაგებად გატანის, ესთეტიკისა და ვიზუალური ხელოვნების შესწავლილ ფუძემდებლურ კანონზომიერებებზე დაყრდნობით არგუმენტირებული განმარტების შესაძლებლობა.
11. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაციები, პრეზენტაციის ფორმების დაგეგმარება/განხორციელება და ა.შ.
12. განსაზღვრავს თავისი სწავლის პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გეგმავს კარიერულ განვითარებას. ნაშრომის/პროექტის შემუშავებისას იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და აკადემიურ სტანდარტებს

პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლება-სწავლების მეთოდები მიმდინარეობს შემდეგი ფორმატით :

ლექცია, თეორია/ პრაქტიკა, ინტერაქტიული სწავლება, ინდივიდუალური ან/და ჯგუფური სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკული მეთოდები, ლაბორატორიული მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება და სხვ. (გამოყენებული მეთოდები მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა :

სასწავლო კომპონენტის შეფასება ასქულიანია, მრავალკომპონენტური. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას :

- შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)
 - დასკვნითი შეფასება - 60 ქულა (მაქსიმალური)
- სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური).

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% - 70%	D	დამკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50%	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა (კურსი თავიდან უნდა გაიროს (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)	უარყოფითი

• სამაგისტრო ნაშრომის შეფასება :

შეფასების მეთოდებად გამოყენებული განვითარების დინამიკის მაჩვენებელი ინსტრუმენტი - პრეზენტაცია, პორტფოლიო, ექსპოზიცია, გამოფენა, ინტერვიუ, რეფერატი და სხვ

შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს : ვალიდურობას ; სანდოობას ; გამჭვირვალობას ; სამართლიანობას ; ობიექტურობას

• სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მინის მასალაში შესრულებულ ნამუშევარს, რომელიც მოიცავს როგორც მხატვრულ-დიზაინერულასევე კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ კვლევის ყველა კომპონენტს.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 30 ECTS, სრულდება IV სემესტრში – 15 კვირის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 2 კვირიან სავალდებულო შემოქმედებით პრაქტიკას, რომელიც ტარდება IV სემესტრის დასრულების შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომის საპრეზენტაციო დაცვამდე.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება როგორც შუალედური შეფასებების, ასევე დასკვნითი გამოცდის სახით. დასკვნითი გამოცდა ტარდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ფორმატში; ხდება შემოქმედებითი პროექტის ექსპონირება (დაცვა), რომელიც ტარდება

სამაგისტრო ნაშრომი	ქულა
სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა-არგუმენტაცია	8
შემოქმედებით-პედაგოგიური პრაქტიკა	2
სამაგისტრო ნაშრომისათვის მოსამზადებელი მასალის (ესკიზები, ეტიუდები) წარმოდგენა	25
სამაგისტრო ნაშრომის შუალედური პრეზენტაცია	25
დასკვნითი გამოცდა(* სამაგისტრო ნაშრომის დაცვა)	40

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება IV სემესტრის დასრულების და 2 კვირიანი სავალდებულო პრაქტიკის შემდეგ. მაგისტრანტმა უნდა შეძლოს ნაშრომის-პროექტის საჯარო წარდგინება, იდეის და მისი განხორციელების მკაფიო დასაბუთება-დაცვა.

სამაგისტრო ნაშრომს აფასებს კომისია 8 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან ერთ-ერთი არის კომისიის თავმჯდომარე. კომისიის წევრები და თავმჯდომარე შეირჩევა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან და დარგის მაღალკვალიფიკაციურისპეციალისტებისაგან.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტი კომისიის წინაშე წარადგენს შესრულებულ სამაგისტრო პროექტს; ანოტაციის ფორმატში მოხსენებით გამოდის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი; დასკვნით რეცენზიას წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი. (რეცენზენტი უნდა ფლობდეს დარგის ანხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდებას.)

სამაგისტრო ნაშრომს უნდა ახლდეს პორტფოლიო, ანოტაცია, ჩატარებული სამუშაოს უკეთესად წარსადგენად და აღსაწერად სასურველია დაერთოს ესკიზები (სამუშაოს დაწყებიდან _ საბოლოო, დაზუსტებულ ვარიანტამდე) და ჩატარებული სამუშაოსსაილუსტრაციოდ გაკეთებული ვიზუალური (ფოტო ან ციფრული) მასალა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები :

- შემოქმედებითი ძიებითი პროცესის წარმართვის უნარი - 10 ქულა
- სწორი კონსტრუქციულ - ტექნოლოგიური გადაწყვეტა, ფორმისა და კონსტრუქციის შესაბამისობა ფუნქციასთან - 10 ქულა
- დეკორის ელემენტების, მინის მთლიანი კომპოზიციის და ინტერიერის ერთ სტილში გადაწყვეტა - 10 ქულა
- 3ds Max პროგრამაში ესკიზების მიხედვით მინის ნამუშევრის შექმნა - 10 ქულა
- 3ds Max პროგრამაში დაპროექტება, ფერისა და ტექსტურების შერჩევა - 10 ქულა
- ნამუშევრის შესაბამისობა თანამედროვე ტენდენციებთან და მოთხოვნებთან - 10 ქულა
- კვლევითი სამუშაოების წარმართვის ხარისხი- 10 ქულა
- დეკორის ელემენტების მხატვრული დამუშავების ხარისხი - 10 ქულა
- ნამუშევრის მასალაში შესრულების ხარისხი და უსაფრთხოების ნორმების დაცვა - 10 ქულა
- წარმოდგენილი მინის ნამუშევრის ვიზუალიზაციის ხარისხი - 10 ქულა

დასაქმების სფეროები :

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „მხატვრული მინის“ კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს იმუშაოს სფეროს მიმართულებით ნებისმიერ შემოქმედებით გარემოში, ინდივიდუალურ ან/და სავაჭრო სივრცეებისთვის კერძო დაკვეთაზე, ასევე, დასაქმდეს უმაღლეს საჯარო და კერძო სახელოვნებო სასწავლებლებში, მათ შორის, სარეკლმო კომპანიებში, შეუძლიათ მხატვრულიმინის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით მინის სახელოსნოების შექმნა. ჩაატარონ სტუდიური სამუშაოები, ვორქშოფები, მასტერკლასები დაინტერესებული აუდიტორისათვის.

- **პროგრამის სტრუქტურა** (სემეტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა)

საგნების დასახელება	I	II	III	IV	EGTS
საუნივერსიტეტო დისციპლინები	6	6			12
არჩევითი დისციპლინები	9	9	10		28
სპეციალობის დისციპლინები	15	15	20	30	80
სულ	30	30	30	30	120

- პროგრამის სასწავლო გეგმა

საგნების დასახელება	ECTS / სთ	ლექცია (სემესტრი)	სთ/ლექცია	ლექცია-პრაქტიკუმი/სთ	სემინარი/სთ	შუალედური შეფასება (ეზი)/სთ	დასკვნით გამოცდა	სამაგისტრო ნაშრომი
საუნივერსიტეტო დისციპლინები								
პედაგოგია	3/75							
უცხო ენა I	3/75							
უცხო ენა II	3/75							
მენეჯმენტი	3/75							
სულ:	12							
არჩევითი დისციპლინები								
	28							
სპეციალობის დისციპლინები								
	80							
მოდელირება-პროექტირება I	5/125	15		94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა I	5/125	15		94	31	90	2	2
სპეც. პლასტიკა	2/50	15		49	1	45	2	2
მინის ტექნოლოგია I	3/75	15		64	11	60	2	2
მოდელირება-პროექტირება II	5/125	15		94	31	90	2	2
მასალაში მუშაობა II	5/125	15		94	31	90	2	2
მინის ტექნოლოგია-პრაქტიკა II	5/125	15		94	31	90	2	2
სპეც.ფერწერა	5/125	15		94	31	90	2	2
მოდელირება-პროექტირება III	2/50	15		49	1	45	2	2
მასალაში მუშაობა III	5/125	15		94	31	90	2	2
ფიუზინგი-პრაქტიკა	5/125	15		94	31	90	2	2
პრეზენტაციის ტექნოლოგიები(თეორია-პრაქტიკა)	3/75	15		64	11	60	2	2
სამაგისტრო ნაშრომი	30/750							
სულ:	120							

- სასწავლო რუკა

საგნების დასახელება	კურსზე დაშვების წინაპირობა					EGTS
საუნივერსიტეტო დისციპლინები		6	6			12
პედაგოგია	წინაპირობის გარეშე					
უცხო ენა I	წინაპირობის გარეშე					
უცხო ენა II	წინაპირობის გარეშე					
მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე					
არჩევითი დისციპლინები		9	9	10		28
სპეციალობის დისციპლინები		15	15	20	30	80
მოდელირება-პროექტირება I	წინაპირობის გარეშე	5				
მასალაში მუშაობა I	წინაპირობის გარეშე	5				
სპეც. პლასტიკა	წინაპირობის გარეშე	2				
მინის ტექნოლოგია I	წინაპირობის გარეშე	3				
მოდელირება-პროექტირება II	მოდელირება-პროექტირება I		5			
მასალაში მუშაობა II	წინაპირობის გარეშე		5			
მინის ტექნოლოგია-პრაქტიკა II	მინის ტექნოლოგია I		5			
სპეც.ფერწერა	წინაპირობის გარეშე			5		
მოდელირება-პროექტირება III	მოდელირება-პროექტირება II			2		
მასალაში მუშაობა III	წინაპირობის გარეშე			5		
ფიზიკური-პრაქტიკა	წინაპირობის გარეშე			5		
პრეზენტაციის ტექნოლოგიები	წინაპირობის გარეშე			3		
სამაგისტრო ნაშრომი					30	
სულ		30	30	30	30	120

• **პროგრამის განხორციელებისათვის ადამიანური რესურსი**

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსსა აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორები, მოწვეული პედაგოგები, მათ შორის :

	პედაგოგი სახელი/გვარი	სტატუსი	დისციპლინა
	თამარ გრიგოლია	პროფესორი	მოდელირება-პროექტირება I მოდელირება-პროექტირება II
	მაია გაბადაძე	ასოცირებული პროფესორი	მოდელირება-პროექტირება III მასალაში მუშაობა III ფიუზინგი-პრაქტიკა
	მანანა ყიფიანი	ასისტენტ პროფესორი	მასალაში მუშაობა II
	ნინო სიხუაშვილი	ასისტენტ პროფესორი	მასალაში მუშაობა I სპეც.ფერწერა
	ნანა ფარულავა	მოწვეული პედაგოგი	სპეც. პლასტიკა
	ნათია პაპიაშვილი	სასწავლო ოსტატი, მოწვეული პედაგოგი	მინის ტექნოლოგია I მინის ტექნოლოგია-პრაქტიკა II
	ნინო მგალობლიშვილი	პროფესორი	პრეზენტაციის ტექნოლოგიები